ხელშეკრულება №

ქ. თბილისი 11 სექტემბერი 2017 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – „სამინისტრო“), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **კობა სონღულაშვილის** სახით; სს „ლიბერთი ბანკი" (შემდგომში - ბანკი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, **ალექსი ხოროშვილის** სახით და სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში – „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით (შემდგომში ერთობლივად - მხარეები, ან/და ცალ-ცალკე - მხარე)

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით

წინამდებარე ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) გაფორმებით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი და საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზანია, მხარეთა შორის 2014 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების უსასყიდლო საბანკო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი გასაცემლების ბენეფიციარებისათვის სწორად გაცემის ხელშეწყობა.

1.2. ამ მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, რეალურ დროში, (ა) ბანკისათვის წვდომის დაშვება სააგენტოს მიერ ადმინისტრირებულ მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაზე (შემდგომში - „ელექტრონული ბაზა“ ან „ბაზა“) და (ბ) ამ ბაზაში წინამდებარე მუხლის 1.3. პუნქტში აღნიშნულ ფიზიკურ პირებზე არსებული ინფორმაციის მიღება.

1.3. ელექტრონულ ბაზაში განთავსებული ინფორმაცია მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მხარდამჭერად/დროებით მხარდამჭერად დანიშნული პირის, მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირისა და იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რომელზედაც დაწესებულია დროებითი მხარდაჭერა, აგრეთვე სასამართლოს აქტის (გადაწყვეტილების/განჩინების/საოქმო განჩინების) სახით შემდეგ მონაცემებს: მხარდაჭერის/დროებითი მხარდაჭერის დაწესების ვადის, ფარგლებისა და ურთიერთობების შესახებ.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა. ინფორმაციის მიმოცვლის წესი

2.1. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სამინისტროს და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის/ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას.

2.2. ინფორმაციის მისაწოდებლად მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

2.2.1. მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

2.2.2. შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

2.2.3. ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

2.3. სამინისტროს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ: (ა) წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას), ხოლო (ბ) წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან 2 (ორი) თვის ვადაში - ელექტრონულ ბაზაზე სატესტო რეჟიმში წვდომას (შემდგომში - სატესტო რეჟიმი).

2.4. იმ შემთხვევაში თუ სატესტო რეჟიმი არ იქნება დამაკმაყოფილებელი და მხარეები ვერ უზრუნვლყოფენ საკუთარი ინფრასტრუქტურის სრულ შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან, თითოეული მხარე უფლებამოსილი იქნება სატესტო რეჟიმის დასრულებამდე მინიმუმ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე, სხვა მხარეთათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე, რა შემთხვევაშიც ხელშეკრულება სატესტო რეჟიმის დასრულებისას ჩაითვლება ავტომატურად შეწყვეტილად.

2.5. იმ შემთხვევაში თუ სატესტო რეჟიმის დასრულებამდე არც ერთი მხარე არ დააფიქსირებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის სურვილს, სატესტო რეჟიმი ჩაითვლება წარმატებულად და ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

2.7. ბანკისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული მონაცემების მიწოდება ხორციელდება ამ ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვა

3.1. მხარეები ვალდებულნი არიან აწარმოონ ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების ელექტრონული აღრიცხვა.

3.2. სააგენტო აღრიცხავს ინფორმაციის მოთხოვნის საერთო რაოდენობას, თითოეული მოთხოვნის შინაარსს, მოთხოვნის შემოსვლის დროს, გაგზავნილი ინფორმაციის შინაარსსა და გაგზავნის დროს.

3.3. მონაცემთა გაცვლის სააგენტო ყოველ წარმატებულად განხორციელებულ გზავნილს ანიჭებს უნიკალურ იდენტიფიკატორს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება თითოეული მოთხოვნა-პასუხის იდენტიფიკაცია.

3.4. ბანკი აღრიცხავს გამოთხოვილი ინფორმაციის საერთო რაოდენობას, თითოეული მოთხოვნის გაგზავნის დროსა და შინაარსს, მიღებული ინფორმაციის შინაარსსა და დროს.

3.5. ბანკი, ასევე, უზრუნველყოფს მისგან გაგზავნილი ყოველი მოთხოვნის ავტორის (მომხმარებლის) იდენტიფიცირებასა და აღრიცხვას.

3.6. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეთა მიერ აღრიცხული ინფორმაციის შენახვა ხორციელდება არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში, ინფორმაციის აღრიცხვის მომენტიდან.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. სააგენტო ვალდებულია:

4.1.1. სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის ბანკისთვის მიწოდების მიზნით, უზრუნველყოს ბანკის მიერ მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემით შეუფერხებელი სარგებლობა, მასში არსებული მონაცემების დროული განახლება და ხელმისაწვდომობა;

4.1.2. ბანკის მხრიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვისას, უზრუნველყოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება ბანკისთვის, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და დანართი N1 შესაბამისად;

4.1.3. განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

4.1.4. უზრუნველყოს ბანკისთვის მიწოდებულ და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცულ ინფორმაციას შორის სრული შესაბამისობა;

4.1.5. ფიზიკური პირის სახელზე გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბანკის მიერ სააგენტოსთვის წინაწარ ცნობილი ბანკის უფლებამოსილი პირის მხრიდან სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (mkhardachera@ssa.gov.ge) მეშვეობით დაკავშირების საფუძველზე, გადაამოწმოს ინფორმაცია სააგენტოში დაცული მატერიალური დოკუმენტების საშუალებით და შედეგები არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა (სამუშაო დღე - 09:00 საათიდან 18:00 საათამდე ყოველდღე, შაბათ-კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა) მიმოწერაში დაფიქსირებული ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის (mkhardachera@ssa.gov.ge) მეშვეობით აცნობოს ბანკს;

4.1.6. ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და მოთხოვნის შესაბამისი ფორმით, წარუდგინოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია;

4.1.7. აცნობოს ბანკს საკუთარ ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების თაობაზე, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

4.1.8. აცნობოს ბანკს საკუთარი ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილებების თაობაზე, ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და უზრუნველყოს ტექნიკური სამუშაოების ბანკთან შეთანხმებული გრაფიკით ჩატარება;

4.1.9. არ დაუშვას ბანკისგან მიღებული ინფორმაციის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის (გარდა, კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი დასრულების შემდგომ;

4.1.10. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს ხელშეკრულების მხარესთან საკონტაქტო პირი;

4.1.11. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

4.2. სააგენტო უფლებამოსილია:

4.2.1. მოსთხოვოს ბანკს ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარმოდგენა;

4.2.2. მოსთხოვოს ბანკს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

4.2.3. ისარგებლოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებით.

4.3. ბანკი ვალდებულია:

4.3.1. განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

4.3.2. ფიზიკური პირის წერილობითი, ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ელექტრონული თანხმობის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით, მიიღოს სააგენტოდან ინფორმაცია მხარდამჭერად/დროებით მხარდამჭერად დანიშნული პირის, მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირის და იმ პირის მონაცემების შესახებ, რომელზედაც დაწესებულია დროებითი მხარდაჭერა, ასევე, სასამართლოს აქტის (გადაწყვეტილების/განჩინების/საოქმო განჩინების) სახით მხარდაჭერის დაწესების ვადის, ფარგლების და ურთიერთობების შესახებ და აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში მოახდინოს ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტ(ებ)ის და მასში მოცემული ინფორმაციის ნამდვილობის გადამოწმება. თანხმობა გამოხატული უნდა იქნას იმგვარად, რომ ნათლად დადგინდეს თანხმობის გამცემი ფიზიკური პირის ნება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან გამოთხოვილ იქნას მის შესახებ ან/და მის მიერ ბანკში წარმოდგენილ დოკუმენტ(ებ)ში განსაზღვრული ინფორმაცია.

4.3.3. სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და მოთხოვნის შესაბამისი ფორმით, წარმოადგინოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

4.3.4. არ დაუშვას, ბაზიდან მიღებული მონაცემების წინამდებარე ხელშეკრულებისგან განსხვავებული მიზნებით დამუშავება, სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე მესამე პირთა დაშვება

მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ;

4.3.5. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს ხელშეკრულების მხარესთან საკონტაქტო პირი;

4.3.6. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

4.4. ბანკი უფლებამოსილია:

4.4.1. სააგენტოს მოსთხოვოს, ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემების წარმოდგენა ელექტრონული ან/და წერილობითი მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;

4.4.2. მონაცემთა სუბიექტის თაობაზე გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუკავშირდეს სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (mkhardachera@ssa.gov.ge) მეშვეობით და მიიღოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით პირის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ფარგლებში;

4.4.3. ისარგებლოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებით.

4.5. სამინისტრო ვალდებულია:

4.5.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტოს მიერ ბანკისათვის შესაბამის ინფორმაციაზე/მონაცემებზე წვდომის მიზნით, უზრუნველყოს მხარეებისათვის მისი ინფრასტრუქტურით სარგებლობა;

4.5.2. უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და ხელშეკრულების მხარეთა მიერ ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის აუცილებელი ტექნიკური მხარდაჭერა;

4.5.3. განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

4.5.4. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უწყვეტი კავშირის არსებობა, რათა დროულად განხორციელდეს ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციაზე/მონაცემებზე წვდომა;

4.5.5. აცნობოს სააგენტოს და ბანკს საკუთარ ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების თაობაზე, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

4.5.6. აცნობოს სააგენტოს და ბანკს საკუთარი ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილებების თაობაზე, ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და უზრუნველყოს ტექნიკური სამუშაოების ბანკთან შეთანხმებული გრაფიკით ჩატარება;

4.5.7. ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასწორების დროს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეფერხების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს და ბანკს;

4.5.8. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს ხელშეკრულების მხარესთან საკონტაქტო პირი;

4.5.9. არ დაუშვას სააგენტოსა და ბანკს შორის მონაცემების მიწოდებისას/გაცვლილას მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაიმე სახით დამუშავება და/ან მესამე პირთა დაშვება (წვდომა), გატარებული (მიღებული) ინფორმაციის/მონაცემების მესამე პირებისათვის რაიმე სახით გადაცემა ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნული არ ვრცელდება ინფორმაციის/მონაცემების ბანკისათვის წვდომაზე.

4.6. მონაცემთა გაცვლის სააგენტო ვალდებულია:

4.6.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტოს მიერ ბანკისათვის შესაბამის ინფორმაციაზე/მონაცემებზე წვდომის მიზნით, უზრუნველყოს მხარეებისათვის მისი ინფრასტრუქტურით სარგებლობა;

4.6.2. უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და ხელშეკრულების მხარეთა მიერ ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის აუცილებელი ტექნიკური მხარდაჭერა;

4.6.3. განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის

4.6.4. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უწყვეტი კავშირის არსებობა, რათა დროულად განხორციელდეს ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციაზე/მონაცემებზე წვდომა;

4.6.5. აცნობოს სააგენტოს და ბანკს საკუთარ ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების თაობაზე, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

4.6.6. აცნობოს სააგენტოს და ბანკს საკუთარი ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილებების თაობაზე, ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და უზრუნველყოს ტექნიკური სამუშაოების ბანკთან შეთანხმებული გრაფიკით ჩატარება;

4.6.7. ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასწორების დროს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეფერხების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს და ბანკს;

4.6.8. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს ხელშეკრულების მხარესთან საკონტაქტო პირი;

4.6.9. არ დაუშვას სააგენტოსა და ბანკს შორის მონაცემების მიწოდებისას/გაცვლილას მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაიმე სახით დამუშავება და/ან მესამე პირთა დაშვება (წვდომა), გატარებული (მიღებული) ინფორმაციის/მონაცემების მესამე პირებისათვის რაიმე სახით გადაცემა ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნული არ ვრცელდება ინფორმაციის/მონაცემების ბანკისათვის წვდომაზე.

4.7. ხელშეკრულების 4.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობა უნდა შეიცავდეს მონაცემთა სუბიექტის პირად ნომერს, გვარს, სახელს, ხელმოწერას, თანხმობის გამოხატვის თარიღსა და მსგავსი ან/და ანალოგიური შინაარსის ფორმულირებას: „თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ლიბერთი ბანკმა" კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, ჩემი და მხარდასაჭერი პირის პერსონალური მონაცემები, რომლის მხარდამჭერსაც წარმოვადგენ მე, აგრეთვე გადაამოწმოს ჩემ მიერ ბანკში წარდგენილი სასამართლო აქტ(ებ)ის და მასში მოცემული ინფორმაციის ავთენტურობა". წერილობით (ან/და ელექტრონული ფორმით გაცემულ) თანხმობად ასევე მიიჩნევა ბანკსა და მონაცემთა სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულება ან შეთანხმება (მატერიალური ან კანონმდებლობით დაშვებული ელექტრონული ფორმით), რომლის შინაარსშიც ასახული იქნება თანხმობის ზემოაღნიშნული ფორმულირება.

4.8. მონაცემთა დამუშავების მიზანი არ უნდა სცილდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 5. მხარეთა შორის კომუნიკაციის პირობები

5.1. მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ ამ მუხლში მითითებული ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ან/და წერილობითი შეტყობინებების გამოყენებით.

5.2. მხარეთა ელექტრონული ფოსტაა:

5.2.1. სამინისტრო: mpapava@moh.gov.ge ;

5.2.2. სააგენტო: mkhardachera@ssa.gov.ge ;

5.2.3. ბანკი: info@libertybank.ge;

5.2.4. მონაცემთა გაცვლის სააგენტო: ngagnidze@dea.gov.ge .

5.3. ელექტრონული ფოსტის საშუალებით შესაძლებელი მოთხოვნილ იქნეს, როგორც ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, ისე მხარის მიერ საკონტაქტო/უფლებამოსილი პირის გამოყოფა და სხვა.

5.4. სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (mkhardachera@ssa.gov.ge) მეშვეობით დაკავშირების საფუძველზე, ბანკს ამავე ფორმით ინფორმაციას აწვდის მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მოთხოვნა გამოგზავნილის ბანკის ელექტრონული ფოსტიდან (info@libertybank.ge), სააგენტოსთვის წინასწარ ცნობილი ბანკის უფლებამოსილი პირების მიერ.

5.5. სააგენტო, ელექტრონული ფოსტის - mkhardachera@ssa.gov.ge მეშვეობით დაკავშირების საფუძველზე კონსულტაციას უწევს ბანკს, ფიზიკური პირის სახელზე გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ასევე, ბანკის მოთხოვნაზე პასუხის დაგვიანებით მიღების ან/და მიუღებლობის საკითხებზე.

მუხლი 6. ხელშეკრულების პირობებზე მონიტორინგის განხორციელების წესი

6.1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სააგენტოს მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ბანკს მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა, ხოლო ბანკი ვალდებულია მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია ამ ხელშეკრულების შესაბამისად, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა დამუშავება და სააგენტოსთვის მიწოდება, მისი მოცულობიდან გამომდინარე დამატებით დროს საჭიროებს.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მონიტორინგის პროცესის მეშვეობით სააგენტო მოიპოვებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მიჩნეულია საბანკო საიდუმლოებად საქართველოს საბანკო კანონმდებლობის მიხედვით, ის ვალდებულია მკაცრად და განუხრელად დაიცვას აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

7.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მათ შორის, ბანკს დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხელშეკრულების 4.3.2. 4.3.4. და 4.7. პუნქტებით განსაზღვრული პირობების ყოველი დარღვევისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის, რომლის გადახდა განხორციელდება სააგენტოს მიერ მითითებულ ანგარიშზე.

7.2. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

8.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის ხანგრძლივობის შესაბამისად, ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ან ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივად.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.2. თითოეული მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტის თარიღამდე 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების ხელშეკრულების სხვა მხარისათვის გაგზავნის გზით.

მუხლი 10. ცვლილებები ხელშეკრულებაში

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია წერილობითი ფორმით მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები ა/და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.

11.2. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის გაუქმება/ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას/ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი გაუქმებული/ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

11.3. ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება ხელშეკრულების პირობები.

11.4. წინამდებარე ხეშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144 საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957	_____ ანა სოფრომაძე მინისტრის მოადგილე
სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“ ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144, საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927	_____ ჯობა სონღულაშვილი დირექტორის მოადგილე
სს „ლიბერთი ბანკი“ თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74 საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304	_____ ალექსი ხოროშვილი გენერალური დირექტორი
სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო ქ.თბილისი,წმინდა ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის N2 საიდენტიფიკაციო კოდი: 204577699	_____ ნიკოლოზ გაგნიძე თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

„მეურვეობა/მზრუნველობის მონაცემთა ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისები და სერვისების ოპერაციები :

1. მხარდაჭერა/დროებითი მხარდაჭერის ერთიანი მონაცემთა ბაზიდან შემთხვევების სრული ინფორმაცია მხარდასაჭერი და მხარდამჭერი პირების პირადი ნომრებით

სერვისის პარამეტრები:

- მხარდასაჭერი პირის პირადი ნომერი;
- მხარდამჭერი პირის პირადი ნომერი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

მხარდაჭერა/დროებითი მხარდაჭერის ერთიანი მონაცემთა ბაზიდან შემთხვევების სრული ინფორმაცია მხარდასაჭერი და მხარდამჭერი პირების პირადი ნომრებით

სერვისის გამოძახება შესაძლებელია Request.xml შაბლონით:

Request.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>SSA_GUARD_GetLibertyBankCase</Class>
      <Qualifier>request</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID>cor</CorrelationID>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID> DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</SenderID>
        <Authentication>
          <Method>clear</Method>
          <Value> DEA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები</Value>
        </Authentication>
      </IDAuthentication>
      <EmailAddress>nomail</EmailAddress>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message xmlns="urn:g3.ge:moh:call:SSA_GUARD_GetLibertyBankCase:v1">
      <DepPN> Dependent person PersonalNumber </DepPN>
      <ResPN> Responsible person PersonalNumber </ResPN>
      <UserName> UserName </UserName>
      <Password> Password </Password>
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

პასუხის Response.xml

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<GovTalkMessage xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>SSA_GUARD_GetLibertyBankCase</Class>
      <Qualifier>response</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID> CorrelationID </CorrelationID>
      <GatewayTimestamp> GatewayTimestamp </GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <LibertyBankCasesResultEntity xmlns:xsi="http://www.w3.org/2001/XMLSchema-instance"
      xmlns:xsd="http://www.w3.org/2001/XMLSchema" xmlns="urn:g3.ge:moh:call:
      SSA_GUARD_GetLibertyBankCase:v1">
      <CaseStatus> Case Status </CaseStatus>
      <DependentPersonBirthDate> Dependent Person BirthDate </DependentPersonBirthDate>
      <DependentPersonFirstName> Dependent Person FirstName </DependentPersonFirstName>
      <DependentPersonLastname> Dependent Person Lastname </DependentPersonLastname>
      <DependentPersonPersonalNumber> Dependent Person PersonalNumber
      </DependentPersonPersonalNumber>
```

```
      <Documents>
        <LibertyBankDokument>
          <DocumentBytes> Array of Bytes </DocumentBytes>
          <FileContentType> File ContentType </FileContentType>
          <FileName> File Name </FileName>
        </LibertyBankDokument>
…       …       …
        <LibertyBankDokument>
          <DocumentBytes> Array of Bytes </DocumentBytes>
          <FileContentType> File ContentType </FileContentType>
          <FileName> File Name </FileName>
        </LibertyBankDokument>
      </Documents>
      <ResponsiblePersonBirthDate> Responsible Person BirthDate </ResponsiblePersonBirthDate>
      <ResponsiblePersonFirstName> Responsible Person FirstName </ResponsiblePersonFirstName>
      <ResponsiblePersonLastname> Responsible Person Lastname </ResponsiblePersonLastname>
      <ResponsiblePersonPersonalNumber>         Responsible         Person         PersonalNumber
       </ResponsiblePersonPersonalNumber>
      <ResponsibleStatus> Responsible Status </ResresponsibleStatus>
      <ResponsibleSuspendReason>      Responsible      Suspend      Reason      if      available
       </ResponsibleSuspendReason>
      <ResultStatus>
        <StatusCode> Status Code </StatusCode>
        <StatusDescription> Status Description </StatusDescription>
      </ResultStatus>
    </LibertyBankCasesResultEntity>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

მოძებნის შემთხვევაში **Response.xml** `<Body></Body>` მოთავსებულია სერიალიზირებული `LibertyBankCasesResultEntity` კლასი (იხ. **დანართი #1-ბ**)

მოთხოვნის პასუხის სტატუსის (სერიალიზირებული `ResultStatus` კლასი, იხ. **დანართი #1-ა**) მნიშვნელობები მოცემული **ცხრილი #1-გ**

ოპერაციის გამოძეხების შემთხვევაში შეცდომის ან Exception შემთხვევაში ბრუნდება შემდეგი სახის XML:

```
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?><GovTalkMessage
xmlns="http://www.govtalk.gov.uk/CM/envelope">
  <EnvelopeVersion>2.0</EnvelopeVersion>
  <Header>
    <MessageDetails>
      <Class>Transaction_Name</Class>
      <Qualifier>error</Qualifier>
      <Function>submit</Function>
      <CorrelationID></CorrelationID>
      <ResponseEndPoint PollInterval="0" />
      <GatewayTimestamp></GatewayTimestamp>
    </MessageDetails>
    <SenderDetails>
      <IDAuthentication>
        <SenderID />
      </IDAuthentication>
    </SenderDetails>
  </Header>
  <Body>
    <Message>
      //Error data hare
    </Message>
  </Body>
</GovTalkMessage>
```

დანართი #1-ა

```
/// <summary>
/// პასუხი მოთხოვნაზე
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode;              // ოპერაციის სტატუსი
    string StatusDescription;    // ოპერაციის სტატუსის განმარტება
}
```

დანართი #1-ბ

```
/// <summary>
/// შემთხვევის მოთხოვნის პასუხი
/// </summary>
public class LibertyBankCasesResultEntity
{
    public ResultStatus ResultStatus                // ოპერაციის სტატუსი
    public string DependentPersonPersonalNumber     // მხარდასაჭერი პირის პირადი ნომერი
    public string DependentPersonFirstName          // მხარდასაჭერი პირის სახელი
    public string DependentPersonLastname           // მხარდასაჭერი პირის გვარი
    public DateTime DependentPersonBirthDate        // მხარდასაჭერი პირის დაბადების თარიღი
    public string CaseStatus                        // შემთხვევის სტატუსი
    public string SuspendReason                     // შეჩერების მიზეზი (არსებობის შემთხვევაში)
    public string ResponsiblePersonPersonalNumber   // მხარდამჭერი პირის პირადი ნომერი
    public string ResponsiblePersonFirstName        // მხარდამჭერი პირის სახელი
    public string ResponsiblePersonLastname         // მხარდამჭერი პირის გვარი
    public DateTime ResponsiblePersonBirthDate      // მხარდამჭერი პირის დაბადების თარიღი
    public string ResponsibleStatus                 // მხარდამჭერი პირის სტატუსი
    public string ResponsibleSuspendReason          // შეჩერების მიზეზი (არსებობის შემთხვევაში)
    public List<LibertyBankDokument> Documents      // თანდართული დოკუმენტების სია
}
```

```
/// <summary>
/// ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტზე
/// </summary>
public class LibertyBankDokument
{
    public string FileContentType  // ფაილის ტიპი
    public string FileName         // ფაილის სახელი
    public byte[] DocumentBytes    // ფაილის (ბიტების მასივი)
}
```

ცხრილი #1-გ: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	Incorrect username/password
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	0	Not Found
	1	Operation seccessed